საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №117
2025 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 24/12/2013, 040030000.22.034.016238) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებით დამტკიცებული წესდების:

1. **მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მ) თანამშრომლობს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, აკადემიურ საზოგადოებასთან, აგრეთვე, საერთაშორისო და პარტნიორი ქვეყნების ორგანიზაციებთან;“.

2. **მე-5 მუხლის**:

ა) **„$ი^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„$ი^1$) სწავლისა და სწავლების, აგრეთვე, ორგანიზაციული მართვის პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;“;

ბ) **„$ი^1$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „$ი^2$“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით**:

„$ი^2$) აკადემიაში დისციპლინური ნორმების დაცვა და სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების კონტროლი;“.

3. **მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი 8. აკადემიის სტრუქტურული ერთეულები**

1. აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია პროფესიული სწავლების დეპარტამენტი.

2. აკადემიის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაცია (დეპარტამენტი);

ბ) ეკონომიკური და ლოჯისტიკის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს არქივი (დეპარტამენტი);

დ) განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი;

ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ვ) მონიტორინგის დეპარტამენტი.“.

4. **მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. საბჭოს წევრები არიან: პრორექტორ(ებ)ი, პროფესიული სწავლების დეპარტამენტის უფროსი, ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი, ეკონომიკური და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი, განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი.“.

5. **მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 15. პროფესიული სწავლების დეპარტამენტი

1. პროფესიული სწავლების დეპარტამენტი წარმართავს სასწავლო პროცესს „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. პროფესიული სწავლების დეპარტამენტი:

ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროცედურების ორგანიზებას;

ბ) შეიმუშავებს სწავლების პროგრამებს/კურსებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის რექტორს;

გ) შეიმუშავებს საპილოტე სწავლების პროგრამებს/კურსებს მათი შემდგომი შემოღების საჭიროების დადგენის, ან არსებულ პროგრამაში/სასწავლო კურსში შემდგომი ინტეგრაციის მიზნით და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის რექტორს;

დ) შეიმუშავებს მეთოდურ მითითებებსა და სასწავლო მასალებს;

ე) ახორციელებს შესაბამის ენაში ტესტირებას, ენის სწავლებას და სწავლების ორგანიზებას;

ვ) უზრუნველყოფს ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

ზ) აკონტროლებს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

თ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირებას, დაცვასა და აღრიცხვას;

ი) უზრუნველყოფს საგამომცემლო საქმიანობასა და აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და სხვა დამხმარე მასალით მომარაგებას, ასევე, საბიბლიოთეკო ფონდის მკითხველისათვის ხელმისაწვდომობას;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

6. **მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 17. ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი), კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

ა) აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვალიფიციური კადრების მოძიების, შემოწმებისა და დაკომპლექტების ორგანიზებას;

ბ) სამინისტროს მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავებას და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფას;

გ) აკადემიის საქმიანობის სამართლებრივ მხარდაჭერას;

დ) საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, აკადემიის დანაყოფებიდან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვასა და დამუშავებას;

ე) პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ზედამხედველობას;

ვ) აკადემიის საქმისწარმოების ორგანიზებასა და კონტროლს, აგრეთვე, საარქივო საქმიანობის წარმოებას;

ზ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელებას, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფას;

თ) სადღეღამისო მორიგეობას;

ი) აკადემიის სამობილიზაციო გეგმების შემუშავებას;

კ) საგანგებო შემთხვევის დროს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას მობილიზაციის მიზნით;

ლ) აკადემიის მომარაგებას იარაღით, საბრძოლო მასალითა და აღჭურვილობით და მათ ბრუნვაზე კონტროლს, დადგენილი წესის შესაბამისად;

მ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.“.

7. **მე-17 მუხლის შემდეგ დაემატოს 17^1 – 17^5 მუხლები შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 17^1. ეკონომიკური და ლოჯისტიკის დეპარტამენტი

ეკონომიკური და ლოჯისტიკის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) აკადემიის საფინანსო საქმიანობის მართვას;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებასა და სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზებას;

გ) აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასა და აკადემიის ქონების დაცვას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 17^2. სამინისტროს არქივი (დეპარტამენტი)

სამინისტროს არქივი (დეპარტამენტი) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) საარქივო მასალის შენახვას, საცავში დაცული სპეციალური ტიპის ინფორმაციასთან დაშვებასა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესების დაცვით გაცემას;

ბ) სხვადასხვა სახის შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით (საგამომცემლო, საექსპოზიციო და ა.შ.), საკონსერვაციო (რესტავრაცია, დიგიტალიზაცია, რეზერვაცია) საქმიანობას;

გ) საერთაშორისო მემორანდუმებით ან პროექტებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 17[3]. განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი

განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) სწავლისა და სწავლების ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებას;

ბ) სწავლების შედეგების შიდა შეფასების პროცესის განსაზღვრას, დაგეგმვას, კოორდინაციასა და ანგარიშების მომზადებას;

გ) სასწავლო პროგრამებისა და მოდულების შესაბამისობას სწავლისა და სწავლების ხარისხის მარეგულირებელ აქტებთან;

დ) სასწავლო პროცესის (თეორიული, პრაქტიკული) მონიტორინგსა და შეფასებას, აგრეთვე, შესაბამისობის ანალიზს სწავლისა და სწავლების ხარისხის მარეგულირებელ აქტებთან;

ე) უკუკავშირის შეგროვებასა და ანალიზს მსმენელებისა და დამსაქმებლებისაგან, მსმენელთა სწავლის შედეგების ანალიზსა და შეფასების სისტემის სანდოობას;

ვ) ინსტრუქტორთა საქმიანობისა და კვალიფიკაციის მონიტორინგს, მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენას;

ზ) ორგანიზაციული მართვის პროცესის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზს;

თ) სწავლისა და სწავლების ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას;

ი) აკადემიის განვითარების მიზნით, საქმიანობის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებით რეფორმის გასატარებლად, რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებას;

კ) აკადემიის განვითარების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში აკადემიის მონაწილეობის კოორდინაციას, პოლიტიკის დოკუმენტების საფუძველზე აკადემიისთვის განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მონიტორინგსა და ანგარიშგებას;

ლ) აკადემიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, შესრულების მონიტორინგსა და ანგარიშგებას, ამ მიზნით კოორდინაციას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან;

მ) აკადემიის საქმიანობისთვის საჭირო ანალიტიკური ანგარიშებისა და მიმოხილვების მომზადებას;

ნ) აკადემიის უფლებამოსილებების განხორციელებისას წარმოშობილი რისკებისა და გამოწვევების შესწავლას, ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებაში მონაწილეობას;

ო) აკადემიაში არსებული სერვისების დანერგვის/განვითარების კოორდინაციას, თემატური პროექტების მართვას, თემატური სახელმძღვანელოების მომზადებაში მონაწილეობას;

პ) სასწავლო მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განხორციელებას;

ჟ) საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, აკადემიურ საზოგადოებასთან, აგრეთვე, საერთაშორისო და პარტნიორი ქვეყნების ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;

რ) ვიზუალური, საპრომოციო მასალების დიზაინის შექმნას, საინფორმაციო და აუდიო-ვიდეომასალების დიზაინის ფორმირებას, აკადემიის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების მართვას;

ს) აკადემიის საზოგადოებრივ ღონისძიებათა, მათ შორის, სპეციალური საკომუნიკაციო კამპანიების

დაგეგმვასა და განხორციელებას, საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით;

ტ) ადმინისტრაციულ-საპროტოკოლო ღონისძიებების, ასევე, უცხო ქვეყნებში აკადემიის ხელმძღვანელი პირ(ებ)ისა და საჭიროების შემთხვევაში აკადემიის სხვა მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებებისა და ვიზიტების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობას;

უ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 17[4]. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) აკადემიის სისტემურ, ქსელურ, პროგრამულ და ტექნიკურ მხარდაჭერას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 17[5]. მონიტორინგის დეპარტამენტი

მონიტორინგის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) აკადემიაში დისციპლინური ნორმების დაცვისა და სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების კონტროლს, აკადემიის მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას;

ბ) აკადემიის მოსამსახურის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის მომზადებასა და რექტორისთვის წარდგენას;

გ) აკადემიის მოსამსახურეთა ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას;

დ) სამსახურებრივი შემოწმების შედეგად აკადემიის მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოს ინფორმირებას;

ე) აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებში სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების გეგმური ან/და არაგეგმური მონიტორინგის/სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას;

ვ) პერიოდული, მათ შორის, კვარტალური, წლიური ანგარიშების წარმოებასა და მათ ანალიზს;

ზ) სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების, აგრეთვე, მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვასა და მათზე რეაგირებას;

თ) საჭიროების შემთხვევაში აკადემიის სტრუქტურული ერთეულებიდან ინფორმაციის გამოთხოვასა და დამუშავებას, აკადემიის მოსამსახურისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევას, ხოლო პირთან, რომელსაც შესაძლოა შეხება ჰქონდეს გამოსარკვევ საკითხთან – გასაუბრებას;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.“.

8. 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკადემიაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, პრორექტორი, დეპარტამენტის უფროსი და მისი მოადგილე, სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**